საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის სააპელაციო
სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

მტკიცის ადგილი

აპელანტი:

მესამე პირი: შ.პ.ს. „RMG Gold“	22535994	ბოლნისის რ-ნი, დაბა კაზრეთი
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

თბილისი, მ. ალექსიძის ქ. #1
ალტერნატიული მისამართი — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	2474545			info@richmetalsgroup.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

აპელანტის წარმომადგენელი:

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე:

ააიპ „მწვანე ალტერნატივა“;	204952676	თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #62, ბინა #62;
დავით სახვაძე	60001004285	თბილისი, საიათნოვას ქ. #1
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

სასამართლოს დასახელება:	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.06.2014წ. გადაწყვეტილება
განმხილველი მოსამართლე:	ინგა კვაჭანტირაძე
საქმის ნომერი:	#3/3877-13
მიღების თარიღი:	2014 წლის 13 ივნისი

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად ☒

ნაწილობრივ ☐

რომელ ნაწილში?

სააპელაციო მოთხოვნა:

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.06.2014წ. გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

1. ფაქტობრივი უსწორობა

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006წ. №03/133 ბრძანებით განხორციელდა „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის საფუძველზე ისტორიისა და კულტურის ძეგლებად აღიარებული ობიექტებისათვის კულტურის ძეგლის სტატუსის ხელახლა მინიჭება. ამ ბრძანების დანართი მოიცავდა ათასობით ასეთ ობიექტს. მაგრამ არასდროს არცერთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროდ" წოდებული ობიექტი მანამდე არ ყოფილა აღიარებული ისტორიისა თუ კულტურის ძეგლად და შესაბამისად, 30.03.2006წ. №03/133 ბრძანების დანართში იგი არც უნდა ყოფილიყო მითითებული. ამასთან, 2006 წელს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" 25.06.1999წ. კანონის მე-16 მუხლის თანახმად ობიექტს რომ მინიჭებოდა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, ის უნდა ყოფილიყო უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიაში და ძეგლის სტატუსი უნდა მინიჭებოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის დასკვნის საფუძველზე. კანონის აღნიშნული მოთხოვნა კი საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის მიმართ არ ყოფილა დაცული და სავსებით ცხადია, რომ ხსენებული ობიექტი 2006 წელს უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში შეტანილი იქნა და უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა სრულიად დაუსაბუთებლად, შესაბამისი კანონიერი საფუძვლის გარეშე.

ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილების 3.1. პუნქტის 3.1.1. ქვეპუნქტში მითითებული გარემოება ვერანიარად ვერ ჩაითვლება საქმეზე დადგენილ უდავო ფაქტობრივ გარემობად, ვინაიდან, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი არსებითად უკანონოდ ჰქონდა მინიჭებული.

მტკიცებულება:

ა. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006წ. №03/133 ბრძანება;

ბ. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 28.05.2013წ. #03/83 ბრძანებით შექმნილი კომისიის დასკვნა.

2. ფაქტობრივი უსწორობა

არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან და ვერ ჩაითვლება ასევე საქმეზე დადგენილ უდავო ფაქტობრივ გარემობად გადაწყვეტილების 3.1.2. პუნქტში მითითება იმის შესახებ, რომ „კულტურის ზოგიერთი უძრავი ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის #665 ბრძანებულების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია. სასამართლო შეგნებულად გვერდს უვლის იმ ფაქტს (პ. 6.3.), რომ მინისტრის 2013 წლის 28 მაისის #03/82 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ გამოკვლეული იქნა ფაქტი იმის შესახებ, რომ ძეგლის სტატუსის მინიჭებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია არ არსებობდა. ხოლო რაც შეეხება პრეზიდენტის 07.11.2006წ. №665 ბრძანებულებას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანებულებით ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა ძალიან ბევრ ობიექტს და თუ სხვა ობიექტების მიმართ არსებობდა კომისიის რეკომენდაცია, საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია ბუნებაში არ არსებობს. უფრო მეტიც, საქართველოს

პრეზიდენტის 2013 წლის 10 ივლისის #563 ბრძანებულებით ცვლილება შევიდა პრეზიდენტის 07.11.2006წ. #665 ბრძანებულების დანართით განსაზღვრულ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლების ჩამონათვალში და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლთა ჩამონათვალიდან ამოღებული იქნა მე-13 პუნქტი - საყდრისი, უძველესი ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლი. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ივლისის #563 ბრძანებულება კი დღესაც ძალაშია და ის არც გასაჩივრებულა.

მტკიცებულება:

ა. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ივლისის №563 ბრძანებულებით

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- ☐ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- ☐ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- ☒ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- ☒ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- ☐ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- ☐ საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. ამ თვალსაზრისით სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და არ არის განმარტებული, თუ რაში გამოიხატა მოსარჩელე მხარის გადაუდებელი ინტერესი საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ბათილად ცნობის მიმართ.

მიგვაჩნია, რომ სასამართლო დაუსაბუთებლად დაეყრდნო „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმად ამ კანონის ამოქმედებამდე გამოცემული სამართლებრივი აქტები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანის, მათთვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების, ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიის დამტკიცებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დამცავი ზონების დადგენის შესახებ მათი ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციამდე ითვლებოდა ამ კანონის შესაბამისად გამოცემულად. ცხადია, რომ აღნიშნული ნორმა კანონმდებელმა გათვალისწინა იმ მოტივით, რომ 2007 წელს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" ახალი კანონით ძალადაკარგულად ჩაითვალა ძველი 1999 წლის კანონი და რომ არ განმეორებულიყო 2006 წლის 30 მარტის ანალოგიური ბრძანების საჭიროება, ვიდრე ახალი კანონის შესაბამისად მოხდებოდა რეესტრში მანამდე შეტანილი ძეგლების დარეგისტრირება, ყველა აქტი, რომლითაც კანონიერად მიენიჭა ძეგლს სტატუსი, ჩაითვალა ახალი კანონის შესაბამისად გამოცემულად. მაგრამ, აღნიშნული ნორმის დანაწესი არანაირად არ ცვლის უძრავი ძეგლების რეესტრში უკანონოდ აღმოჩენილი ობიექტების სამართლებრივ ბუნებას.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით (პ. 6.2. გვ. 8) 30.03.2006წ. №03/133 ბრძანებით საყდრისს მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი და ამ სტატუსის მოხსნა მინისტრის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დასკვნის საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

მიგვაჩნია, რომ სასამართლოს ასეთი მსჯელობა მოკლებულია სარწმუნო სამართლებრივ არგუმენტირებას. ძეგლთა ნუსხაში დაუსაბუთებლად, კანონიერი საფუძვლის გარეშე მოხვედრილი ობიექტის რიგითი ნომრის გაბათილება არ შეიძლება სამართლებრივი თვალსაზრისით გაუთანაბრდეს ძეგლის სტატუსის მოხსნას, ვინაიდან, სამართლებრივი შინაარსის მიხედვით ეს ორი მოვლენა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია.

პირველ შემთხვევაში, რასაც საყდრისთან მიმართებაში ჰქონდა ადგილი, მოხდა რა ძეგლთა ნუსხაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მოხვედრილი ობიექტის რიგითი ნომრის გაბათილება, ადმინისტრაციულმა ორგანომ აღმოფხვრა 28.05.2013წ. ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ გამოვლენილი კანონდარღვევა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არანაირი ნორმა არ ზღუდავდა და უფრო მეტიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებდა კიდეც მას მოეხდინა შესაბამისი რეაგირება.

რაც შეეხება ისეთ სამართლებრივ მოვლენას, როგორიცაა ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა, ასეთ შემთხვევას მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ კონკრეტული ობიექტი ძეგლთა ნუსხაში შეტანილი იქნებოდა კანონიერად, შესაბისი საფუძვლითა და პროცედურების დაცვით, მაგრამ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დღის წესრიგში დადგებოდა კანონიერად მინიჭებული ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხი. ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იმ შემთხვევაში, თუ ძეგლი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, და მისი აღდგენა შეუძლებელია, ან მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი. კანონი ძეგლის სტატუსის მოხსნის სხვა შემთხვევებს არც ითვალისწინებს. ამდენად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს ობიექტისათვის კანონიერად მინიჭებული ძეგლის სტატუსის მოხსნაზე და ისიც მხოლოდ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ხოლო ძეგლთა ნუსხაში ამა თუ იმ ობიექტის უკანონოდ, დაუსაბუთებლად და შესაბამისი კანონისმიერი მოთხოვნების იგნორირებით შეტანის შემთხვევებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს უფლებამოსილება და კომპეტენცია არ გააჩნია. გამოდის, რომ თუ ესა თუ ის ობიექტი შეგნებულად თუ ნებისმიერი სხვა სუბიექტური მიზეზით უკანონოდ აღმოჩნდა კულტურის უძრავი ძეგლების ნუსხაში და ამით შეიზღუდა ასეთი ობიექტის მესაკუთრისა თუ მოსარგებლის უფლებები, ვერასდროს ვერ მოხდება ასეთი ობიექტის ნუსხიდან ამორიცხვა, თუ აღნიშნულზე არ იმსჯელა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა იგი განადგურდება, ან დაზიანდება ან მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით დაკარგავს ძეგლის მახასიათებლებს.

ამდენად, სრულიად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა გადაწყვეტლებაში იმის მითითება, რომ სამინისტროს 28.05.2013წ. #03/82 ბრძანებით სპეციალურად შექმნილ კომიასიას არ ჰქონდა საყდრისი-ყაჩაღიანის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე მსჯელობის უფლება, რომლის დასკვნის საფუძველზეც, გამოვლენილ აშკარა კანონდარღვევაზე რეაგირების მიზნით, გამოიცა 05.07.2013წ. #03/108 ბრძანება და 2006 წლის 30 მარტის #03/133 ბრძანების დანართის რიგითი ნომერი #2042 ბათილად იქნა ცნობილი.

სასამართლო განმარტავს (6.4.), რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ინტერესის არსებობა გულისხმობს მხოლოდ რეალურ, ფაქტობრივ ინტერესს და გამორიცხავს მორალურ, თეორიულ ინტერესს. პირის უფლება და ინტერესი კანონიერი უნდა იყოს, ანუ კანონით უნდა იქნეს დაცული. სიტყვა კანონი კი გულისხმობს როგორც კანონს, ისე კანონქვემდებარე აქტს. ამასთან, სახეზე უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი პირის სამართლებრივად დაცულ უფლებებსა და ინტერესებზე. მაგრამ, სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ზემოაღნიშნული კრიტერიუმიდან გამონაკლისს წარმოადგენს გარემოსდაცვით აქტებთან დაკავშირებული საჩივრის (სარჩელის) მატერიალური დასაშვებობის საკითხი.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული კანონის ის ნორმა, რომელიც გარემოსდაცვით აქტებთან დაკავშირებულ საჩივარს (სარჩელს) მიიჩნევს კანონით გათვალისწინებულ იმ გამონაკლის შემთხვევად, რომელიც მას გამორიცხავს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმებიდან (პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი დაინტერესებული პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე).

სასამართლო თავის მსჯელობას ამყარებს „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" ორჰუსის 1998 წლის კონვენციას.

ამასთან დაკავშირებით, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კონვენცია არ არის შემხებლობაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება-მოხსნის საკითხთან და შესაბამისად, აღნიშნული კონვენციის საფუძველზე მოსარჩელეთა მიჩნევა დაინტერესებულ მხარედ და მათი სარჩელის დასაშვებად ცნობა სრულიად დაუსაბუთებელია.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული ორჰუსის 1998 წლის კონვენციის შესაბამისი მუხლების ანალიზი მხოლოდ იმ დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ დაინტერესებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოსადაცვით სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით, კულტურულ ობიექტებთან მიმართებაში მხოლოდ იმ საკითხებთან დაკავშირებით შეუძლია იყოს მომჩივანი მხარე, თუ რამდენად შეიძლება გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობამ (ჰაერმა, ატმოსფერომ, წყალმა, ნიადაგმა, მიწამ, ლანდშაფტმა, ბუნებრივმა ობიექტებმა, ბიულოგიურმა მრავალფეროვნებამ და მისმა კომპონენტებმა, გენეტიკურად მოდიფიცირებულმა ორგანოებმა და ამ ელემენტების ურთიერთქმედებამ) ან ადმინისტრაციულმა ქმედებებმა და ღონისძიებებმა გარემოს შემადგენელი ელემენტების მეშვეობით ზეგავლენა მოახდინოს კულტურული ობიექტის მდგომარეობაზე.

აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა თუ მოხსნის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ვერანაირად ვერ ჩაითვლება გარემოსდაცვით აქტად და შესაბამისად, თვით ორჰუსის კონვენციის მიხედვითაც კი მოსარჩელეები არ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულ მხარედ მიჩნეულნი.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?
დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა ☒

საჩივრის ფასი — ლარი

სახელმწიფო ბაჟი — 150 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?
მტკიცებულება:
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

ტრანშა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
20 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ერ სხდომაში რადგან

ტრანშა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

ტრანშა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?
ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

ტრანშა-35

თანდართული საბუთების ნუსხა

ტრანშა-36 ტრანშა-37

დანართი 1: სახელმწიფო ბაჟის ქვითარი;
დანართი 2: საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ივლისის #563 ბრძანებულება.
ფურცლების საერთო რაოდენობა: 14 ფურცელი.

სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	☐	☐
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☐	☐
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☐	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☐	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	☐	☐
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	☐	☐
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☐	☐
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☐	☐
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☐	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.		
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☐
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☐	☐
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☐	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია: ☐	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული: ☐

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	გენერალური დირექტორი სერგეი ეგანოვი	08/აგვისტო/2014 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.